პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 52 (9719)
15 მარტი, სამშაბათი, 1988 წ.

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО — ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან ● ფასი 3 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მისაბაძი თაოსნობა



თბილისის „დინამოს" ოსტატ ფეხბურთელთა გუნდის საერთო კრებამ ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება მარტყოფის სკოლა-ინტერნატის აღსაზრდელებზე შეფობის შესახებ. ეს თაოსნობა მოიწონა სპორტსაზოგადოების რესპუბლიკურმა საბჭომ. და აი, გასულ შაბათს დინამოელები სკოლა-ინტერნატს ეწვივნენ. წერილს ამ ამაღელვებელი და დაუვიწყარი შეხვედრის შესახებ ჩვენი გაზეთის დღევანდელი ნომრის მე-3 გვერდზე გთავაზობთ.

## ვერცხლის მედალი — ლეილა მესხს

**მოსკოვის** სპორტკომპლექს „დრუჟბას" ჩოგბურთის კორტებზე დამთავრდა სსრ კავშირის ზამთრის ჩემპიონატი ქალთა შორის. როგორც ვიუწყებოდით, ერთეულთა ფინალში თამაშის უფლება მოიპოვეს მინსკელმა ნატალია ზვერევამ და თბილისელმა ლეილა მესხმა.

გადამწყვეტ ასპარეზობაში უფრო ძლიერი აღმოჩნდა მინსკელი ჩოგბურთელი, რომელმაც ორივე პარტია ერთნაირი ანგარიშით — 6:2 მოიგო და პირველად მოიპოვა



გამარჯვება ზამთრის საკავშირო ჩემპიონატში. ვერცხლის მედალი ლეილა მესხს ხვდა.

მეორე ოქროს მედალი ზვერევამ მოიპოვა წყვილთა შეჯიბრებაში, სადაც მისი პარტნიორი ლვოველი ლარისა სავჩენკო იყო. ამ დუეტმა დაამარცხა მოსკოველ ჩოგბურთელთა (სვეტლანა პარხომენკო და ნატალია ბიკოვა) წყვილი — 7:6, 0:6, 7:5.

## 17 ქვეყნის მონაწილეობით

### რუდიკ კაზანჯიანი უძლიერესი იყო

**ტუავის** ხელთათმნის ოსტატთა ამ საერთაშორისო ტურნირს, რომელიც გდრ-ის ქალაქ ჰალეს რინგზე გაიმართა, თამამად შეიძლება სეულის ოლიმპიადისწინა გენერალური რეპეტიცია ეწოდოს. საქმე ის გახლავთ, რომ ამ ასპარეზობაში, როგორც წესი, მსოფლიოს უძლიერესი მოკრივეები მონაწილეობენ და ამიტომაც „ა" კლასის რანგი აქვს მინიჭებული.

ტრადიცია არც ამჯერად დარღვეულა — ჰალეში მსოფლიოს თითქმის ყველა უძლიერესი მოკრივე ჩავიდა. აქ თავიანთი ძალა გამოსცადეს თანამედროვე ...ვის კანონმდებლებმა კუბელმა სპორტსმენებმაც. სულ კი ტურნირში 17 ქვეყნის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ.

48 კგ წონით კატეგორიაში სსრ კავშირის ნაკრების ღირსებას იცავდა თბილისელი ოსტატი რუდიკ კაზანჯიანი, რომელსაც წილისყრამ ნახევარფინალში ცნობილი კუბელი მოკრივე ფილიპ ალვარესი არგუნა.

თბილისელმა მოკრივემ ძლიერ



მეტოქესთან ბრძოლა საკუთარი „სცენარით" წარმართა და დამსახურებულ გამარჯვებასაც მიაღწია. ფინალში მისი მეტოქე არანაკლებ ცნობილი ბულგარელი ანგელ დავიდოვი გახლდათ. კაზანჯიანმა კვლავ ისახელა თავი და უძლიერესის სახელი მოიპოვა.

## საქართველოს ჩემპიონატი კალათბურთში

# პირველი მატჩები

გასულ შაბათს და კვირას ჩატარდა კალათბურთელ ვაჟთა რესპუბლიკური ჩემპიონატის პირველი მატჩები. შევახსენებთ, რომ ასპარეზობაში მონაწილე გუნდები ორ ჯგუფად არიან დაყოფილნი.

**პირველი ჯგუფი.** ფავორიტებმა — უნივერსიტეტისა და ფიზკულტურის ინსტიტუტის კალათბურთელებმა ორ-ორი შეხვედრა მოიგეს. უნივერსიტეტის კოლექტივი გორის გუნდს მასპინძლობდა და გაიმარჯვა — 95:88 და 99:82. ფიზკულტურის ინსტიტუტს გასვლითი მატჩები ჰქონდა ბათუმში და ორთავე თავის სასარგებლოდ დაამთავრა — 104:80 და 105:68.

ორი შეხვედრა მოიგო ქუთაისის ნაკრებმაც, რომელიც თბილისში ადგილობრივ „დინამოს" ეთამაშებოდა — 116:86 და 109:85.

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| ფიზკ. ინსტ. (თბ.) | 2 | 2 | 0 | 209-148 | 4 |
| ქუთაისი | 2 | 2 | 0 | 225-171 | 4 |
| უნივერსიტ. (თბ.) | 2 | 2 | 0 | 194-170 | 4 |
| გორი | 2 | 0 | 2 | 170-194 | 2 |
| „დინ." (თბ.) | 2 | 0 | 2 | 171-225 | 2 |
| ბათუმი | 2 | 0 | 2 | 148-209 | 2 |

**მეორე ჯგუფი.** აქაც სასტარტო მატჩები ჩატარდა. სოხუმში ადგილობრივმა კალათბურთელებმა „მართვე" (თბილისი) დაამარცხეს — 95:85 და 99:92. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდმა შინ რუსთავის კოლექტივს აჯობა 103:72 და 113:99. „სინათლეს" (თბილისი) გასვლითი მატჩები ჰქონდა თელავში და ორივე მოიგო — 128:86 და 102:81.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| „სინათლე" (თბ.) | 2 | 2 | 0 | 280-167 | 4 |
| სპი (თბ.) | 2 | 2 | 0 | 216-171 | 4 |
| სოხუმი | 2 | 2 | 0 | 194-177 | 4 |
| „მართვე" (თბ.) | 2 | 0 | 2 | 177-194 | 2 |
| რუსთავი | 2 | 0 | 2 | 171-216 | 2 |
| თელავი | 2 | 0 | 2 | 167-280 | 2 |

## „გრან პრის" ეგიდით

**ორლანდო.** ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირი, რომელიც აშშ-ს ამ ქალაქში ჩატარდა, „გრან პრის" კატეგორიას განეკუთვნებოდა და, ამდენად, სეზონის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შეჯიბრება იყო.

როგორც ვიუწყებოდით, ფინალში თამაშის უფლება საბჭოთა კავშირის ჩემპიონმა ანდრეი ჩესნოკოვმა და ჩეხოსლოვაკიელმა მიროსლავ მეჩირჟმა მოიპოვეს. პირველმა ნახევარფინალში ჯეი ბერგერი (აშშ) დაამარცხა — 3:6, 6:2, 6:1, მეორემ — დევიდ პეიტი (აშშ) — 7:6, 5:7, 6:0.

ფინალურ ორთაბრძოლაში დაძაბული გამოდგა მხოლოდ პირველი პარტია, რომელიც ჩესნოკოვმა მოიგო — 7:6. შემდეგ საბჭოთა ჩემპიონის უპირატესობა აშკარა იყო — 6:1. ანდრეი ჩესნოკოვმა პირველად გაიმარჯვა ასეთი მაღალი რანგის ტურნირში.

## 19-ის ნაცვლად — 26 მარტს

ქართულ ჭიდაობაში საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პრიზზე რესპუბლიკის სოფლებსა და ქალაქების უბნების პირველობის მორიგი შეხვედრები, რომელიც დაგეგმილი იყო 19 მარტს თბილისის სახელმწიფო ცირკში, გადატანილია 26 მარტს, კორექტივებით. ცვლილებებზე ცალკე გაცნობებთ.

## 707-ე ანგარიშზე

ბრძოლდება ახალდაარსებული საბავშვო ფონდისათვის სახსრების შეგროვება. ველოსპორტში პროფკავშირების ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლის დირექტორმა ა. გუნიამ გვაცნობა: „სპორტსკოლის თანამშრომელთა საერთო კრებაზე კოლექტივმა ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება რესპუბლიკის საბავშვო ფონდის 707-ე ანგარიშზე გადარიცხოს ერთი თვის ხელფასი".




## სსრ კავშირის პირველი ჩემპიონატი მინიფეხბურთში გულშემატკივრებს შორის

# „ვერა" ჩემპიონია!

**მოსკოვის** ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონის სპორტულ კომპლექსში დამთავრდა საკავშირო შეჯიბრება მინიფეხბურთში, რომლის ორგანიზატორები იყვნენ საკავშირო პროფსაბჭო და გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდის" რედაქცია. კარგად წარმართა მთელი ტურნირი თბილისის გუნდმა, რომელიც ვერისა და საბურთალოს ფეხბურთელებით იყო დაკომპლექტებული.

თბილისელებმა ფინალურ მატჩში ჩელიაბინსკის „ჩელიაბინეცი" დაამარცხეს — 1:0 და საკავშირო ტურნირის გამარჯვებულის სახელი მოიპოვეს. დაწვრილებით მასალას ტურნირის შესახებ ჩვენი გაზეთის უახლოეს ნომრებში შემოგთავაზებთ.

## პროფკავშირელთა უპირატესობით

1970-1971 წლებში დაბადებულთა რესპუბლიკურმა პირველობამ ქართულ ჭიდაობაში, რომელიც ხაშურის სპორტკომპლექსში ჩატარდა, თავი მოუყარა პროფკავშირების სპორტსაზოგადოების, „დინამოს", „შრომითი რეზერვებისა" და „ლოკომოტივის" 120 მოჭიდავეს. გუნდური გამარჯვება, როგორც მოსალოდნელი იყო, პროფკავშირების ფალავნებს დარჩათ. მეორე ადგილზე გავიდა „დინამოს", მესამეზე — „შრომითი რეზერვების" კოლექტივები.

წონითი კატეგორიების მიხედვით ჩემპიონები გახდნენ: მ. კურდღელაშვილი, გ. ნოზაძე, დ. ბაისონაშვილი, ა. კაპანაძე, ა. ყვავილაშვილი, დ. თურმანიძე, დ. ლევანიძე (ყველა — პროფკავშირების სპორტსაზოგადოება), ტ. არაბული („დინამო"), მ. მაისურაძე (პროფკავშირების სპორტსაზოგადოება).

**სიმონ მაისურაძე.**



## სსრ კავშირის ჩემპიონატი წყალბურთში

II ტური

# „უნივერსიტეტი" — პირველი მეტოქე

**დღეს** თბილისში იწყება წყალბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის მეორე ტური. ამჯერად ჩვენი დინამოელები ერთგვარ პრივილეგირებულ მდგომარეობაში არიან, რადგან ისინი ეგრეთწოდებულ გრძელ ტურს მასპინძლობენ და ხუთ შეხვედრას გამართავენ. ისინი ვაკის საცურაო აუზში შეხვდებიან შარშანდელ ჩემპიონებს, მოსკოველ თანაკლუბელებს, რომლებიც ბოლო წლებში ოქროს მედლებს არავის უთმობენ და ახლაც ცსკ ვმფ-სთან ერთად ლიდერობენ, თბილისელთა მეტად ძნელი მეტოქე იქნება მოსკოვის „უნივერსიტეტიც", რომელიც სატურნირო ცხრილში მასპინძელთა მეზობლად იმყოფება. თბილისელთა კიდევ ერთი მეტოქე, ლვოვის „დინამო" დღესდღეობით მედლების მოპოვების ერთ-ერთი პრეტენდენტია. დანარჩენი მონაწილეები, ხარკოვის „ლოკომოტივი" და „მოსკვიჩი" სატურნირო ცხრილის მეორე ნახევარში არიან.

ამ გუნდებთან პირველ ტურში თბილისელებმა 6 ქულა მოაგროვეს. ახლა, როგორც მასპინძელს, ვფიქრობთ, რომ ჩვენს გუნდს 8 ქულის მოპოვება ძალუძს, რაც მის სატურნირო მდგომარეობას გააუმჯობესებს.

იმედია, თბილისელები გულშემატკივართა იმედებს გაამართლებენ.

დღეს ქართველი წყალბურთელები პირველ შეხვედრას ჩვენი ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონთან, მოსკოვის „უნივერსიტეტთან" გამართავენ. შევახსენებთ, რომ პირველ წრეში ამ გუნდების შეხვედრა ფრედ დამთავრდა.

ასპარეზობები დაიწყება 18 საათზე, შაბათს — 4 საათზე.

**გათამაშების ცხრილი**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| „დინამო" (მოსკ.) | 11 | 8 | 3 | 0 | 19 |
| ცსკ ვმფ | 11 | 8 | 3 | 0 | 19 |
| „დინ." (ა-ათა) | 11 | 8 | 0 | 3 | 16 |
| „დინამო" (ლვოვი) | 11 | 6 | 4 | 1 | 16 |
| „უნივ." (მოსკ.) | 11 | 6 | 2 | 3 | 14 |
| „დინამო" (თბილისი) | 11 | 4 | 4 | 3 | 12 |
| „დინამო" (კიევი) | 11 | 4 | 2 | 5 | 10 |
| კკფ (ბაქო) | 11 | 3 | 3 | 5 | 9 |
| „ლოკომოტივი" (ხარ.) | 11 | 2 | 2 | 7 | 6 |
| „მოსკვიჩი" | 11 | 2 | 1 | 8 | 5 |
| ჰჩფ (სევასტ.) | 11 | 1 | 1 | 9 | 3 |
| სკა (მინსკი) | 11 | 1 | 1 | 9 | 3 |

საქართველოს მოფარიკავეთა ჩემპიონატი

# დებულება — ახალი, ჩვეულება — ძველი

**რესპუბლიკურ შეჯიბრებებზე ხშირად ახალი ბევრი არაფერი ხდება, მაგრამ მაინც იმედის თვალით შევცქერით ამ ასპარეზობებს, საიდანაც უფრო მაღალი მწვერვალებისკენ ნელა, მაგრამ ბეჯითად მიიკვლევს გზას ახალგაზრდობა— ჩვენი სპორტის მომავალი.**

**საქართველოს მოფარიკავეთა წლევანდელი ჩემპიონატი ქუთაისში ჩატარდა. ამ შეჯიბრების შესახებ გვესაუბრება რესპუბლიკის სპორტსახკომის მთავარი მწვრთნელი ფარიკაობაში გოდერძი მახარაძე.**

— **მართალია,** პრიზიორთა შემადგენლობა შესამჩნევად არ შეცვლილა, ვთქვათ, შარშანდელ შეჯიბრებასთან შედარებით, მაგრამ მაინც შეიძლება ითქვას, რომ სიახლე ბევრი იყო. მაგალითად, ადრე ასაკობრივი ცენზი მხოლოდ უფროსი მოფარიკავეებისთვის იყო დაწესებული, რაც აშკარად ანელებდა შეჯიბრების დაძაბულობას. ახლა კი ცენზი, პირიქით, მოკავშირედ გამოვიყენეთ: საასპარეზოდ არ დავუშვით 1969 წელს და შემდეგ დაბადებული მოფარიკავეები, დანარჩენებს კი მივეცით ასპარეზობის უფლება. მიზეზს ახლავე აგიხსნით: ბევრი ხელმძღვანელი გუნდის შევსების მიზნით ბავშვებით აკომპლექტებდა კოლექტივს. ცხადია, ამ პატარა მოფარიკავეებს უცილობელი მარცხი ელოდათ და, ვიდრე ისინი ბრძოლას გამოეთიშებოდნენ, ასპარეზობის საწყისი ეტაპი კატათაგვობანას ჰგავდა. ახლა კი, ვინაიდან უფრო სტაბილური შემადგენლობა გამოვიდა ბილიკზე, ბრძოლა პირველივე ეტაპიდან დაძაბული იყო — აშკარად მოიგო შეჯიბრების სანახაობრივმა მხარემ, მით უმეტეს, რომ ქუთაისში სავალდებულო წესით უნდა ესასპარეზა ყველას, ვინც კი საქართველოს 24 საუკეთესო მოფარიკავეს შორის ირიცხება. მეტიც, ძლიერ გუნდებს უფლება მივეცით ორ-ორი კოლექტივით ჩაბმულიყვნენ შეჯიბრებაში. თბილისს სამი გუნდის გამოყვანაც კი შეეძლო... ერთი სიტყვით, ჩემპიონატში მონაწილეობა მიიღეს მართლაც უძლიერესმა სპორტსმენებმა, რომელთა ერთი ნაწილი ადრე შინ რჩებოდა მათი გუნდისთვის დაწესებული ლიმიტის გამო.

ჩვენი გეგმა უფრო კარგ შედეგს მოგვცემდა, რამდენიმე გუნდის ხელმძღვანელებს პასუხისმგებლობა რომ არ გამოეჩინათ. ქუთაისში გუნდები არ ჩამოიყვანეს აფხაზეთის, წყალტუბოს, რუსთავის, ტყიბულის, მაიაკოვსკის წარმომადგენლებმა, მხოლოდ რამდენიმე იქაური სპორტსმენი თუ ასპარეზობდა პირად პირველობაში. რატომღაც მესამე გუნდის გამოყვანაზე უარი თქვეს თბილისშიც, რაპირისტი გოგონები და ვაჟები აკლდნენ აჭარის ნაკრებს, ხმლით მოფარიკავეები — ქუთაისელებს.

შეჯიბრების ასეთი გაუმართლებელი უგულვებელყოფა, საერთოდ, კითხვის ნიშნის ქვეშ სვამს ზოგიერთ რეგიონში საფარიკაო ჯგუფების არსებობის მიზანშეწონილობას. მაიაკოვსკში 50 სპორტსმენი ვარჯიშობს სამი მწვრთნელის ხელმძღვანელობით, წყალტუბოში და ჭიათურაში იგივე მდგომარეობაა. აფხაზეთში 161 მოფარიკავე და 5 მწვრთნელია, რუსთავში და ტყიბულში — 76-76 (ორ-ორი სპეციალისტი)... საქართველოს ჩემპიონატს კი აი, ასე ერთსულოვნად აარიდეს თავი. მაშ, რისთვის მუშაობენ? ძალიან უცნაურად მეჩვენება ადგილობრივი სპორტკომიტეტების დამოკიდებულება თავიანთი სპეციალისტების მიმართ: ან შეჯიბრების ანგარიში მოსთხოვონ, ან მუშაობის შედეგი. არაფერი ახალი იქ არ ხდება: რაიონებიდან ერთი წინადადებაც არ მიგვიღია მუშაობის შეცვლის, თუნდაც ახალი ჯგუფის გახსნის ანდა არსებულის დახურვის შესახებ.

ახლა კი გამარჯვებულთა შესახებ. რაპირისტთა შორის ჩემპიონის სახელი პირველად მოიპოვა თბილისის 57-ე საშუალო სკოლის მეათეკლასელმა ვახტანგ ურუშაძემ. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ჩვენი რამდენიმე წამყვანი სპორტსმენი ვლადიმერ აფციაურის მეთაურობით ლენინგრადის საერთაშორისო ტურნირზე გაემგზავრა და ქუთაისში არ გამოსულა. მაგრამ ეს, ცხადია, ჩრდილს ვერ აყენებს ახალგაზრდა, პერსპექტიული მოფარიკავის წარმატებას. ვახტანგ ურუშაძეს ბახვა მათითაიშვილი ავარჯიშებს.

ბოლო წლებში გოგონათა შორის ჩვენი უცვლელი ჩემპიონია თბილისელი ქეთევან გაჩეჩილაძე, რომელმაც ქუთაისშიც არავის დაუთმო პირველობა. ეს გოგონა, რომელიც თამარ დარასელიას მოწაფეა, დიდი ბრძოლისუნარიანობით გამოირჩევა. დაშნით ფარიკაობაში ჯემალ გამიაშვილმა აჯობა თავის შედარებით უმცროს მეტოქეებს და პირველი ადგილი დაიკავა, გამიაშვილიც თბილისელია და ნოდარ დიდიას ხელმძღვანელობით მეცადინეობს.

ტრადიციულად, ყველაზე საინტერესო ბრძოლა ხმლით ფარიკაობაში გაიმართა. ამ სახეობაში მართლაც სტაბილური გუნდი გვყავს. ეს დადასტურდა ბოლო საკავშირო სპარტაკიადაზე, სადაც ჩვენმა ბიჭებმა ვერცხლის მედლები მოიპოვეს, დადასტურდა ამ ჩემპიონატშიც — შეხვედრა მართლაც ძალიან დაძაბულად წარიმართა, ორივე ნახევარფინალური შეხვედრა დამთავრდა ერთნაირი ანგარიშით — 10:8. დავით თურქიამ სძლია მერაბ ბაზაძეს, ირაკლი გვარამაძემ — ზაზა მჭედლიძეს. მეტად საინტერესო იყო თურქიასა და გვარამაძის ფინალური შეხვედრა, რომელშიც პირველობა გვარამაძეს დარჩა — 10:8. მესამე ადგილისთვის გამართულ ბრძოლაში ბაზაძემ სძლია მჭედლიძეს. ოთხივე მოფარიკავეს გურამ ლორთქიფანიძე ავარჯიშებს. აღსანიშნავია, რომ გაჩეჩილაძეც, გვარამაძეც და გამიაშვილიც ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტები არიან.

ჩემპიონატის დადებით მხარეებზე ის შემიძლია ვთქვა, რომ ამაღლდა აჭარის გუნდის მომზადების დონე. განსაკუთრებით მინდა გამოვყო იქ მომუშავე სპეციალისტი ლიუდმილა როდიონოვა, რომლის მოწაფეების — მარინე ანდღულაძისა და მარინა გოგიას სახით რესპუბლიკის ჭაბუკთა ნაკრებმა კარგი შევსება მიიღო II საკავშირო თამაშებისათვის.

საუბარი ჩაიწერა
**გიორგი პავლიაშვილმა.**


ქეთევან გაჩეჩილაძე.


ვახტანგ ურუშაძე.


ირაკლი გვარამაძე.


ჯემალ გამიაშვილი.

**შედეგები** · კვარცხლბეკი

**რაპირა. ვაჟები.** 1. ვ. ურუშაძე (თბილისი); 2. ა. ფრანგულიდი (აჭარა); 3. დ. მატინოვი (თბილისი).

**გუნდური.** 1. ქუთაისი — 1; 2. აჭარა — 2; 3. თბილისი —1.

**გოგონები.** 1. ქ. გაჩეჩილაძე; 2. მ. მათითაიშვილი; 3. ლ. გიორგაძე (ყველა — თბილისი).

**გუნდური:** 1. თბილისი — 1; 2. თბილისი — 2; 3. ქუთაისი —1.

**ხმალი.** 1. ი. გვარამაძე; 2. დ. თურქია; 3. მ. ბაზაძე (ყველა — თბილისი).

**გუნდური.** 1. თბილისი — 1; 2. ქუთაისი — 1; 3. აჭარა — 1.

**დაშნა.** 1. ჯ. გამიაშვილი; 2. ლ. კობიძე; 3. გ. ზურაბიშვილი (ყველა — თბილისი).

**გუნდური.** 1. თბილისი — 1; 2. აჭარა — 1; 3. ქუთაისი — 1.

**საერთო გუნდური.** 1. თბილისი —1—626 ქულა; II. ქუთაისი —1 —350; III. აჭარა — 1—337; IV. თბილისი — 2—265; V. ქუთაისი — 2—119; VI. ზესტაფონი —105.

## მოკლედ

### საოლქო-საბჭოს პირველობაზე

**ბაიმარტა** პროფკავშირების ნებაყოფლობითი ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოების აჭარის საოლქო საბჭოს პირადი პირველობა კლასიკურ ჭიდაობაში. წონითი კატეგორიების მიხედვით ჩემპიონები გახდნენ: მ. ცეცხლაძე (ქობულეთი), მ. ბაკურიძე, მ. კეშელავა (ბათუმი), შ. მიქელაძე, გ. ნაყოფია (ხელვაჩაური), რ. შავაძე (ბათუმი), მ. ინაიშვილი (ქობულეთი), გ. ბეჟანიძე (ხელვაჩაური), გ. შაქარიშვილი (ქობულეთი), ი. მელქოიანი (ბათუმი).

„ლელოს“ კორ.

### კიდევაც დაიზრდებიან...

**ზესტაფონის** ბავშვთა და მოზარდთა სპორტულ სკოლაში ნაყოფიერად მუშაობს მრავალი სპორტული სექცია და სასწავლო ჯგუფი. მათ შორის გამოირჩევიან ძიუდოისტები, რომლებსაც წვრთნის სპორტის ოსტატი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ჯონდო ჯანიაშვილი (უფროსი მწვრთნელი), მას მხარში უდგანან ახალგაზრდა სპეციალისტები მურთაზ ზარნაძე და ზაზა მჭედლიძე.

ეამაყებათ მწვრთნელებს, რომ ამ სექციაში აღიზარდნენ მსოფლიო ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის სამბოში, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი ნიკოლოზ წაქაძე, სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონი ძიუდოში ახალგაზრდებს შორის დავით ხუსკივაძე, საკავშირო ჩემპიონატების პრიზიორი კობა გურეშიძე, ახალგაზრდული თამაშების პრიზიორი გიორგი გაჩეჩილაძე და სხვები.

დღესდღეობით კი იმედის მომცემი ახალგაზრდები არიან ნიკოლოზ ქოჩიაშვილი, ზაზა მახათაძე, გურამ ლეჟავა, ზვიად გოგოლაძე, სოსო გურული და სხვები.

**პეტრე ნებიერიძე,**
**„ლელოს“ კორ.**
ზესტაფონი.

### თბილისელთა უპირატესობით

**თბილისში** „დინამოს“ ჩოგბურთის კორტებზე დამთავრდა 1973-1975 წლებში დაბადებულ მოზარდთა საქართველოს ღია პირველობა. ასპარეზობაში ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქების ნორჩმა ჩოგბურთელებმაც მიიღეს მონაწილეობა. შეჯიბრებაში თბილისელთა უპირატესობა აშკარა იყო. როგორც ჭაბუკებში, ისე გოგონებში ყველა საპრიზო ადგილებს დედაქალაქის ნორჩი ჩოგბურთელები დაეუფლნენ. ჭაბუკთა შორის უძლიერესნი იყვნენ გ. გორდაძე, ი. მარქაროვი, დ. ოძელაშვილი, გოგონათა შორის ადგილები ასე განაწილდა: რ. მძინარიშვილი, ი. კულდონაშვილი, ო. თუხარელი.

შერეულ და წყვილთა თანრიგებში შეხვედრები არ გამართულა.

### ტატამზე — სოფლის ბიჭები

**ხახპორტო** სკოლის საჭიდაო დარბაზში ჩატარდა რაიონის პირველობა ძიუდოში. 1972-1974 წლებში დაბადებულ მოსწავლეთა შორის.

წონითი კატეგორიების მიხედვით ჩემპიონები გახდნენ: ზვიად ლურსმანაშვილი, ზაზა ბერაძე (თეთრაწყარო), დათო ზუმბაძე, გოჩა გიორგაძე (ბორითი), ზაზა და შალვა ლურსმანაშვილები, ავთო ვეფხვაძე (ორჯონიკიძის № 1 საშუალო სკოლა), კახა ლურსმანაშვილი (რკინიგზის № 10 საშუალო სკოლა), ჯუმბერ ინასარიძე (ვერტყვიჭალა) და ზაზა ცერცვაძე (ლეღვნი).

**გოჩა ხარატიშვილი,**
**„ლელოს“ კორ.**
ორჯონიკიძე.

# მწვრთნელთა საინტერესო შეკრება

**მოსკოვის** ფიზკულტურის ინსტიტუტის დახელოვნების ფაკულტეტის ბაზაზე ჩატარდა ჭადრაკის მწვრთნელთა კვალიფიკაციის ამაღლების 20-დღიანი შეკრება, რომელსაც ხელმძღვანელობდა პროფკავშირების ცენტრალური საჭადრაკო კლუბი. ქვეყნის დედაქალაქში თავი მოიყარა ოცდაათამდე მსმენელმა, რომელთა შორის იყვნენ როგორც გამოცდილი, ისე ახალგაზრდა მწვრთნელები.

სასწავლო პროგრამა ითვალისწინებდა ლექცია-სემინარებს როგორც სპეციალობაში, ისე მეცნიერების სხვადასხვა დარგში. მწვრთნელებმა მოისმინეს ლექციები პედაგოგიკაში, სპორტულ მედიცინაში, ფსიქოლოგიაში, ფიზიოლოგიაში, გამოთვლით ტექნიკასა და სხვ.

განზრახულია მწვრთნელთა კვალიფიკაციის ამაღლების კურსების ყოველწლიურად მოწყობა.

**დავით ჯაფარიძე,**
**თბილისის პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ჭადრაკის სექციის მწვრთნელი.**






**პროფკავშირთა სპორტული საზოგადოების თბილისის საქალაქო საბჭოს თაოსნობით გრძელდება შრომითი კოლექტივების ფიზკულტურელთა მეგობრული თამაშების პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრებები. გასულ კვირას ფრენბურთელთა და მაგიდის ჩოგბურთელთა ასპარეზობას საწარმოო გაერთიანება „ელექტროაპარატის“ სპორტულმა ბაზებმა უმასპინძლა. აქ სტუმრად მოვიდნენ სპორტული კლუბების „შევარდენის“, „უმბას“, „ივერიის“, „მეგობრობის“ და აეროპორტის ფიზკულტურული კოლექტივის წარმომადგენლები.**

**სურათებზე, რომელიც ჩვენმა კორესპონდენტმა ალექსანდრე კოტორაშვილმა გადაიღო, ამ თამაშების მომენტებია ასახული.**

# ყველანი თხილამურებზე!

**წინადღეს** ბაკურიანში ცოტა წამოთოვა და... აქ მეექვსედ გაიმართა ტრადიციული დღესასწაული — „მოთხილამურის დღე“. ორგანიზატორებმა ბევრი რამ ილონეს, ზეიმი საკადრისი რომ გამოსულიყო. წინა წლებისაგან განსხვავებით ბორჯომის „საქწიგნის“ მაღაზიამ სხვადასხვა სახის წიგნებიც კი შესთავაზა მოზეიმეთ.

ზეიმი 25-მეტრიანი ტრამპლინის სიახლოვეს, მიმდინარეობდა. პროგრამაში იყო რბენა, სლალომი, ტრამპლინიდან ხტომა და ე. წ. „მხიარული სტარტები“.

ნორჩი მფრინავი მოთხილამურენი 15-მეტრიან ტრამპლინიდან ხტომაში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. აქ ყველას აჯობა მეცხრეკლასელმა იოსებ გავამ.

სამწუხაროდ, რბოლის ტრასაზე სულ 30-მდე ვაჟი (3 კილომეტრზე) და... 3 ქალი (2 კილომეტრზე) გამოვიდა. ამიტომ მათზე, ვფიქრობთ, ლაპარაკიც არ ღირს.

სამაგიეროდ სლალომმა (300 მეტრი) 100-მდე მონაწილეს მოუყარა თავი.

ზეიმში, რომლის დევიზი იყო „ყველანი თხილამურებზე!“, აქტიურად მონაწილეობდნენ სხვადასხვა ორგანიზაციები, სკოლები, დამსვენებლები, მათ შორის ყველაზე პატარა „სპორტსმენები“ ბაკურიანის ბავშვთა სანატორიუმ „მზის სხივის“ დამსვენებლები. „მოთხილამურის დღით“ ისარგებლეს აგრეთვე ბორჯომში შეკრებაზე მყოფმა რესპუბლიკის თავისუფალი სტილით მოჭიდავე ჭაბუკთა ნაკრების წევრებმაც.

ზეიმმა სასიამოვნო შთაბეჭდილება დატოვა.

**სოფიკო ხეთაგაშვილი,**
**„ლელოს“ კორ.**
ბაკურიანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა










**მისაბაძი თაოსნობა**

# აჩუქე სიხარული...

**ზუსტად 45 წუთი, ანუ ერთი ტაიმი დასჭირდათ თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელებს დიღმის ბაზიდან მარტყოფის ობოლ და მშობელთა ზრუნვას მოკლებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატში მისასვლელად. სკოლის წინ ორ რიგად ჩამწკრივებულ გოგონებსა და ბიჭუნებს „დინამოს“ ალმების ტყე აღემართათ. მერე ალმებმა დარბაზში გადაინაცვლა ხმაშეწყობილი შეძახილებით — „დინამო“!, „დინამო“! ,„დინამო“!...**

ინტერნატის დირექტორი გიორგი ანჯაფარიძე: „გაზეთიდან გავიგე, რომ ერთ-ერთ ანალოგიურ ინტერნატს მოსკოვის „სპარტაკი“ უწევს შეფობას და , აი, გადავწყვიტეთ, თბილისის ოსტატ ფეხბურთელთა გუნდისთვის წერილი გაგვეგზავნა. სიმართლე გითხრათ, არ გვეგონა, თუ ისინი დროს გამონახავდნენ ჩვენთან შესახვედრად და შეფობასაც იკისრებდნენ“.

დარბაზში, რომ იტყვიან, ნემსი არ ჩავარდებოდა — ყველას ეწადა ერთხელ მაინც ახლოდან ეხილა ტყავის ბურთის ოსტატები. დინამოელთა მთავარმა მწვრთნელმა გერმან ზონინმა იქ მყოფთ მისთვის ჩვეული იუმორით წარუდგინა ფეხბურთელები.

ბავშვებს ყველაფერი აინტერესებდათ. ერთ-ერთმა გოგონამ ისიც კი იკითხა, დინამოელებს სკოლაში რა ნიშნები ჰყავდათო. რაზეც გერმან ზონინმა ღიმილით უპასუხა, ალბათ, ძალიან კარგად სწავლობდნენ, რადგან ყველა მათგანი დღეს უკვე სტუდენტია. შემდეგ მთავარმა მწვრთნელმა ბავშვებს უამბო: ჩვენი ბომბარდირის, გურულის ჩვილმა ენა რომ ამოიდგა, პირველად დედის მაგივრად „დინამო“ დაიყვირაო!...

მასპინძლებმა დინამოელებს შესთავაზეს თავიანთი მეგობარი — ძალიან კარგი მეკარეა, გამოგადგებათო. გერმან ზონინიც შეჰპირდა — აუცილებლად გამოვცდით, დღეს გოლკიპერები იმდენად გვიჭირს, რომ ლამის მეკარეების მოსამზადებელი კოოპერატივიც გავხსნათ...

მალე ისიც გამოირკვა, რომ ინტერნატში საფეხბურთო კლუბს ხსნიან, რომელსაც სპორტის დამსახურებული ოსტატის ვლადიმერ გუცაევის სახელი უნდა უწოდონ.

ვლადიმერ გუცაევმა დიდი მადლობა გადაუხადა და ინტერნატის ფეხბურთელები მიიწვია დიღმის საწვრთნელ ბაზაზე ფეხბურთის სათამაშოდ. შემდეგ კი გადასცა თბილისის „დინამოს“ ვიმპელები, 30 წყვილი ფეხბურთის ფორმა და რამდენიმე ბურთი. სამაგიეროდ მასპინძლებმა დინამოელებს ფეხბურთის სტადიონად ჩამოყალიბებული უზარმაზარი ტორტი აჩუქეს.

შეხვედრის დასასრულს ადგილობრივი ძალებით გაიმართა კონცერტი.

გუნდის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა „დინამოს“ სტადიონზე მატჩების დღეებში მათ ადგილიც გამოუყოს. მომავალში კი ჩვენი წამყვანი ფეხბურთელები საწვრთნელ გაკვეთილებს ჩაუტარებენ. ვინ იცის, იქნებ მათ შორის ისეთი ფეხბურთელებიც გამოჩნდნენ, ჩვენი უპირველესი გუნდის ღირსების დაცვას რომ შეძლებენ (ოცნებას, ხომ კაცი არ მოუკლავს!).

ჯერჯერობით კი ერთი რამის თქმა დანამდვილებით შეიძლება: ასეთი ყურადღება კეთილ შედეგს უთუოდ გამოიღებს: დინამოელთა თაოსნობას ალბათ რესპუბლიკის სხვა სახელოვანმა სპორტულმა კოლექტივებმაც უნდა მიბაძონ. მათ თანადგომას ელიან რესპუბლიკის სხვა ბავშვთა სახლები და ინტერნატები.

**ჯემალ კასრაძე.**

**ს უ რ ა თ ე ბ ზ ე:** შეხვედრის მომენტები.

ავტორის ფოტოები.

## სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში

შაბათს, სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის II ტურის მატჩი ერევნის „არარატსა“ და ვილნიუსის „ჟალგირისს“ შორის დამთავრდა ერევნელთა გამარჯვებით — 1:0. კვირას მოსკოვში ერთმანეთს შეხვდნენ „სპარტაკი“ და „ტორპედო“. თამაში დამთავრდა ფრედ — 0:0.

გუშინ მოსკოვში კვლავ ადგილობრივი გუნდები: „დინამო“ და „ლოკომოტივი“ შეხვდნენ ერთმანეთს. მატჩის შედეგია 2:0 დინამოელთა სასარგებლოდ.

## ჭაბუკთა ნაკრები ემზადება

**სსრ კავშირის** ჭაბუკ ფეხბურთელთა ნაკრები ემზადება ევროპის ჩემპიონატის ფინალური გათამაშებისთვის (შესარჩევ ჯგუფში ჩვენთან ერთად იბრძვიან რუმინეთის, თურქეთისა და ავსტრიის გუნდები).

მწვრთნელები ნაკრების კანდიდატებს სინჯავენ, სულ ახლახან გუნდი სოხუმის მახლობლად ეშერაში იმყოფებოდა საწვრთნელ შეკრებაზე. ჭაბუკებმა 3 საკონტროლო მატჩი გამართეს, ჯერ ანგარიშით 1:0 დაამარცხეს მინსკის „დინამოს“ სათადარიგო გუნდი (გოლი გაიტანა ჯორბენაძემ), შემდეგ მოუგეს ხაბაროვსკის არმიელებს — 2:1 და ფრედ ითამაშეს სოხუმის „დინამოსთან“ — 1:1.

## საერთაშორისო ფეხბურთი: შედეგები, ცხრილები

**გაიმართა ევროპის ქვეყნების საფეხბურთო ჩემპიონატების მორიგი ტურის მატჩები .**

### ინგლისი

**31-ე ტური.** „ქოვენთრი“ —„ჩელსი“ 3:3, „დერბი“ — „ჩარლტონ ატლეტიკი“ 1:1, „ევერტონი“ — „ნიუკასლი“ 1:0, „ნორვიჩი“ — „მანჩესტერ იუნაიტედი“ 1:0, „ქუინზ პარკი“ — „ლივერპული“ 0:1, „შეფილდი“ — „ნოტინგემი“ 0:1, „უოტფორდი“ — „საუთჰემპტონი“ 0:1, „ვესტ ჰემი“ — „ოქსფორდი“ 1:1, „უიმბლდონი“ — „ლუტონი“ 2:0, „არსენალი“ — „ტოტენჰემი“ 2:1.

| | თ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|
| „ლივერპული“ | 28 | 66-12 | 72 |
| „მანჩეს. იუნ.“ | 30 | 44-29 | 55 |
| „ნოტინგ. ფორ.“ | 27 | 51-24 | 52 |
| „ევერტონი“ | 28 | 40-16 | 52 |

### გფრ

**22-ე ტური.** „ბორუსია“ (მიონჰენგლადბახი) — „ბორუსია“ (დორტმუნდი) 0:3, „აინტრაჰტი“ (ფრანკფურტი) — „ბაიერი“ (ლევერკუზენი) 3:2, „კიოლნი“ — „შტუტგარტი“ 1:1, „ვერდერი“ — „ბაიერი“ (უერდინგენი) 5:1, „შალკე 04“ — „ბოხუმი“ 2:1, „ჰანოვერი“ — „კაიზერსლაუტერნი“ 1:0, „ჰომბურგი“ — „მანჰეიმი“ 1:1, „ნიურნბერგი“ — „ბაიერნი“ 0:3, „კარლსრუე“ — „ჰამბურგერ შპორტ ფერაინი“ 0:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ვერდერი“ | 22 | 43-10 | 37 |
| „ბაიერნი“ | 22 | 55-28 | 33 |
| „კიოლნი“ | 22 | 36-18 | 31 |

### იტალია

**21-ე ტური.** „ჩეზენა“ — „აველინო“ 1:1, „ასკოლი“ — „კომო“ 0:0, „პიზა“ — „ემპოლი“ 0:0, „იუვენტუსი“ — „ინტერი“ 1:0, „ნაპოლი“ — „რომა“ 1:2, „სამპდორია“ — „პესკარა“ 2:1, „ფიორენტინა“ — „ტორინო“ 1:0, „მილანი“ — „ვერონა“ 0:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ნაპოლი“ | 21 | 44-15 | 35 |
| „მილანი“ | 21 | 31-10 | 31 |
| „რომა“ | 21 | 32-15 | 29 |

### საფრანგეთი

**27-ე ტური.** „ლენი“ — „სენტ ეტიენი“ 1:0, „ტულუზა“ — „ლილი“ 2:1, „პარი სენ-ჟერმენი“ — „ტულონი“ 1:0, „ნიორი“ — „ბორდო“ 0:0, „მონაკო“ — „კანი“ 4:1, „მეცი“ — „ბრესტი“ 1:1, „ოსერი“ — „ნიცა“ 2:0, „მარსელი“— „ნანტი“ 3:0, „ლე ჰავრი“ — „რესინგი“ (პარიზი) 1:1, „მონპელიე“ — „ლავალი“ 2:1.

| | | | |
|---|---|---|---|
| „მონაკო“ | 27 | 39-16 | 39 |
| „რესინგი“ (პარიზი) | 27 | 32-25 | 35 |
| „ბორდო“ | 27 | 32-21 | 34 |

### შოტლანდია

**35-ე ტური.** „სელტიკი“ — „ფალკირკი“ 2:0, „დანდი“ — „მორტონი“ 1:0, „დანდი იუნაიტედი“— „ჰიბერნიანსი“ 0:0, „დანფერმლაინი“—„რეინჯერსი“ 0:3, „სენტ მირენი“ — „აბერდინი“ 0:0, „მოზერუელი“ — „ჰარტსის“ შეხვედრა გადაიდო.

| | თ. | ქ. |
|---|---|---|
| „სელტიკი“ | 35 | 57 |
| „რეინჯერსი“ | 34 | 51 |
| „აბერდინი“ | 35 | 48 |

### გდრ

**მე-15 ტური.** „დინამო“ (ბერლინი) — „უნიონი“ (ბერლინი) 2:1, „ფორვერთსი“ (ფრანკფურტი) — „შტალი“ (ბრანდენბურგი) 1:3, „კარლ-მარქს-შტადტი“ — „კარლ ცაისი“ (იენა) 1:1, „დინამო“ (დრეზდენი) — „ერფურტი“ 5:1, „ჰანზა“ (როსტოკი) — „ვისმუტი“ (აუე) 2:0, „ჰალე“ — „შტალი“ (რიეზა) 3:0.

| | | |
|---|---|---|
| „დინამო“ (ბერლინი) | 15 | 22 |
| „ლოკ.“ (ლეიფციგი) | 14 | 20 |
| „დინამო“ (დრეზდენი) | 15 | 20 |

### ბელგია

**24-ე ტური.** „ფკ ლიეჟი“ — „ანტვერპენი“ 5:0, „ფკ ბრიუგე“ — „კორტრიკი“ 3:0, „ლოკერენი“ — „რესინგი“ 0:2, „შარლერუა“ — „მეხელენი“ 0:1, „ვინტერსლაგი“ — „ბევერენი“ 1:0, „ვარეგემი“ — „ანდერლეჰტი“ 0:3, „ბეერსკოტი“ — „სერკლ ბრიუგე“ 1:1, „რუდ მოლენბეკი“ — „სტანდარდი“ (ლიეჟი) 1:1, „გენტი“ — „სენტ ტრიუდენი“ 1:3.

| | | |
|---|---|---|
| „მეხელენი“ | 24 | 37 |
| „ბრიუგე“ | 24 | 35 |
| „ანტვერპენი“ | 24 | 35 |

### საბერძნეთი

**22-ე ტური.** „ირაკლისი“ — „პანსერაიკოსი“ 2:0, „ლარისა“ — „აეკი“ 2:0, „ოფი კრეტა“ —„პანიონისი“ 1:0, „დიაგორასი“ (როდოსი) — „ვერია“ 1:0, „ეთნიკოსი“ — „პაოკი“ 1:0, „პანათინაიკოსი“ — „ოლიმპიაკოსი“ 1:1, „აპოლონი“ — „პანაჰაიკი“ 0:0, „ლევადია“ — „არისი“ 2:0.

| | | |
|---|---|---|
| „ლარისა“ | 22 | 32 |
| „ოფი კრეტა“ | 22 | 30 |

## სტატისტიკა, სტატისტიკა...

⊙ **პირველი** საფეხბურთო მატჩი ელექტრული განათებით 1878 წელს მოეწყო ინგლისში.

⊙ **ფეხბურთის** კარზე ბადე პირველად 1891 წელს ჩამოკიდეს ინგლისის სამხრეთ და ჩრდილოეთ ლიგების ნაკრები. გუნდების შეხვედრისას.

⊙ **საფეხბურთო** მატჩის პირველი რადიორეპორტაჟი მოეწყო 1926 წელს. ჩეხმა კომენტატორმა იოზეფ ლაუფერმა გადასცა საერთაშორისო მატჩი მტკ (ბუდაპეშტი) — „სლავია“ (პრაღა).

ჩვენს ქვეყანაში პირველი რადიორეპორტაჟი მოეწყო 1929 წელს მოსკოვის „დინამოს“ სტადიონიდან. მოსკოვისა და ლენინგრადის ნაკრები გუნდების რეპორტაჟი მიჰყავდა ვადიმ სინიავსკის.

⊙ **ფეხბურთელთა** მაისურებზე ნომრები პირველად გამოჩნდა 1937 წელს ჩრდილოეთ ირლანდიისა და ინგლისის ნაკრები გუნდების მატჩში.

⊙ **პირველი** მატჩი ინტერნაციონალურ გუნდებს შორის 1937 წლის 20 ივნისს გაიმართა ამსტერდამში. ერთმანეთს შეხვდნენ ცენტრალური და დასავლეთ ევროპის ნაკრები გუნდები. გაიმარჯვეს ცენტრალური ევროპის ფეხბურთელებმა — 2:1.

⊙ **სსრ კავშირის** სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება პირველად მიიღეს ფეხბურთელებმა. ეს მოხდა 1934 წელს. პირველი დამსახურებული ოსტატები იყვნენ: პ. ბატირევი, მ. ბუტუსოვი, ვ. ვონოგი, პ. გრიგორიევი, ნ. სოკოლოვი, პ. ისაკოვი, ფ. სელინი, ნ. სტაროსტინი, ი. პრივალოვი. ქართველ ფეხბურთელთაგან პირველი სპორტის დამსახურებული ოსტატი იყო შ. შავგულიძე (1941).

**სსრ კავშირის** დამსახურებული მწვრთნელის წოდება პირველად მიენიჭა მოსკოველ გ. კაჩალინს (1956 წელი). საქართველოში ეს წოდება პირველმა მიიღო დ. ცომაიამ (1958 წელი).

**რევაზ გულიაშვილი.**

# ბათუმის „დინამო“ ბულგარეთში

**ორკვირიან** საწვრთნელ შეკრებაზე ბულგარეთში იმყოფებოდა ბათუმის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდი, რომელმაც აქ 4 საწვრთნელი ამხანაგური მატჩი გამართა.

პირველ შეხვედრაში მისი მეტოქე ბლაგოევგრადის „პირინის“ ახალგაზრდული ნაკრები იყო. მატჩი სტუმართა გამარჯვებით დამთავრდა — 2:0. მეორე თამაში ბათუმელებმა ამ ქვეყნის პირველი ლიგის ბლაგოევგრადის „პირინთან“ გამართეს. შეხვედრა მასპინძლების უპირატესობით წარიმართა და გამარჯვებაც მათ დარჩათ (3:2).

ბოლო ორი შეხვედრა ბათუმის დინამოელებმა ბულგარეთის შეიარაღებული ძალების პირველ და მეორე ნაკრებ გუნდებთან გამართეს. პირველ ნაკრებს ჩვენმა ფეხბურთელებმა ანგარიშით 4:2 სძლიეს, მეორე შეხვედრაშიც წარმატება ბათუმელთა მხარეს იყო— 1:0.

„ლელოს“ კორ.

## საქართველოს ქალთა ჩემპიონატი ჭადრაკში

# ჯერჯერობით დაუმარცხებლად...

**ვიდრე** მოჭადრაკე ქალთა 44-ე რესპუბლიკური ჩემპიონატის X ტურის შეხვედრებს განვიხილავდეთ, თვალი გადავავლოთ V-IX ტურების შედეგებს.

კვლავ კარგად თამაშობენ და ჯერჯერობით დაუმარცხებლად მიიწევენ წინ რესპუბლიკის შარშანდელი ჩემპიონი ქეთევან კახიანი და III ადგილის მფლობელი ციალა ქასოშვილი, რომლებიც დამაჯერებლად უსწრებენ დანარჩენ მონაწილეებს.

რაც შეეხება საქართველოს ექსჩემპიონს, სამტრედიელ ოსტატს სოფიკო ტერელაძეს, რომელიც ტურნირის დაწყებიდანვე ლიდერთა შორის იმყოფებოდა, ბოლო ხუთი თამაშიდან მხოლოდ ორი ქულა აიღო, და საგრძნობლად გაიუარესა სატურნირო მდგომარეობა.

ოსტატობის კანდიდატებიდან განსაკუთრებით გამოირჩევიან ეკატერინე ფახიროვა და იამზე თვაური. ისინი საკმაოდ სერიოზულად თამაშობენ თითოეულ პარტიას და დიდ წინააღმდეგობას უწევენ გამოცდილ ოსტატებს. იმედია, დანარჩენი ოსტატობის კანდიდატებიც მიბაძავენ მათ.

სამწუხაროდ, სუსტად გამოდიან საერთაშორისო ოსტატები თამარ ხუგაშვილი და ალა ჩაიკოვსკაია. მათ მართლაც რომ ბედი არ წყალობთ. თუმცა, ყველაფერი ჯერ არ არის დაკარგული და იმედია, დარჩენილ 7 ტურში გამოასწორებენ მდგომარეობას...

X ტურში დიდ ინტერესს იწვევდა ლიდერების — ციალა ქასოშვილისა და ქეთევან კახიანის შეხვედრა. ჭადრაკის მოყვარულები მათგან „სამკვდრო-სასიცოცხლო" ბრძოლას მოელოდნენ, მაგრამ ასე არ მოხდა, თითქმის თანაბარ პოზიციაში, უკვე მე-14 სვლაზე მეტოქენი დაზავდნენ.

ზედიზედ მეორე დამარცხება იწვნია სოფიკო ტერელაძემ. მას ამჯერად თამილა მესხმა მოუგო. მესხმა, რომელიც თეთრი ფიგურებით თამაშობდა, დებიუტშივე აქტიურად წამოიწყო ბრძოლა და მეტოქის მეფის ფრთაზე პაიკების წინსვლით უპირატესობას დაეუფლა. პოზიციური უპირატესობა თანდათან მატერიალურ უპირატესობაშიც გადაიყვანა — პაიკი მოიგო. შემდეგ კი ეფექტური კომბინაციით ლაზიერი დათმო ეტლსა და მსუბუქ ფიგურაში. ტერელაძემ ვერაფერი გააწყო და როცა კიდევ ერთი ფიგურის დაკარგვის საშიშროება შეექმნა, საათი გააჩერა.

დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: ქ. მელაშვილი—ხუციშვილი — 1:0, სადუნიშვილი — გელავა — 1:0, ნ. მელაშვილი — ჩაიკოვსკაია — 1:0, ფახიროვა —ხურციძე — 1:0, ხარლამიდი — ნიკოლაძე — 0,5:0,5, თვაური — კახაბრიშვილი — 0,5:0,5. გადაიდო ხუგაშვილ—კემულარიას პარტია.

გადადებული პარტიების დამთავრებისას ეკა კემულარიამ დაამარცხა თამარ ხუგაშვილი (X ტური), ამ დღეს შედგა ნინო გელავასა და მაია ხუციშვილის VII ტურის გამოტოვებული პარტია, რომელიც გელავას გამარჯვებით დამთავრდა.

ამრიგად, 10 ტურის შემდეგ ლიდერთა ჯგუფი ასე გამოიყურება: ციალა ქასოშვილი (გორი), ქეთევან კახიანი (გარდაბანი) — 7,5-7,5, ეკატერინე ფახიროვა (ქუთაისი), ქეთევან მელაშვილი — 6,5-6,5, იამზე თვაური (ორივე — თბილისი), თამილა მესხი (ქუთაისი) — 6-6, სოფიკო ტერელაძე (სამტრედია), ნინო მელაშვილი — 5,5-5,5, ციცინო კახაბრიშვილი (ორივე — თბილისი) — 5.

**ვასილ ვაშაკიძე.**



# „ნკაა-ს ციტადელი"

**ნკაა** — ასე ჰქვია შემოკლებით აშშ-ის ეროვნული კოლეჯების ათლეტიკურ ასოციაციას, რომლის მთავარი სპორტის სახეობა კალათბურთია. ეს ჩემპიონატი მაყურებელთა დიდ ინტერესს იწვევს. მაგალითად, ნკაა-ს ჩემპიონატის ერთ სეზონში დაახლოებით 32 მილიონი ბილეთი გაიყიდა.

ნკაა-ში სამი დივიზიონი და დაახლოებით 760 გუნდია. ყველაზე ძლიერია I დივიზიონი, რომელშიც 290-მდე გუნდი შედის. აქ გამოდიან ისეთი გუნდები, როგორებიცაა ინდიანა, ლას-ვეგასი, ჩრდილოეთ კაროლინა, სირაკუზა, ჯორჯთაუნი, კანზასი და სხვა.

გუნდები დაყოფილნი არიან ჯგუფებად — კონფერენციებად. კონფერენციებში დაახლოებით 8-10 გუნდია. შიგა ჩემპიონატს ისინი (რეგულარულ სეზონს) თავისი ფინალური ტურნირით 4 წრედ თამაშობენ. წაგებული გუნდი მომდევნო ეტაპზე ეთიშება ასპარეზობას, მას „ფლეი ოფფს" ეძახიან. რეგულარული სეზონის შემდეგ რჩება 64 გუნდი. ამ 64 გუნდიდან 30 კონფერენციებში გამარჯვებულია, ხოლო დანარჩენ 34 სპეციალური შესარჩევი კომიტეტი ამატებს. იგივე კომიტეტი 64 გუნდში განთესავს მხოლოდ რამდენიმე ძლიერ გუნდს.

ძლიერი გუნდების შერჩევაში იმველიებენ საგარინისეულ კლასიფიკაციას. ჯერი საგარინი, მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი, უკვე 20 წელია კომპიუტერის საშუალებით ადგენს I დივიზიონში რეგულარულად მონაწილე ყველა გუნდის რანგთა ტაბელს. იგი კომპიუტერში დებს თითოეული გუნდის ყველა მონაცემს, თუ რომელ მეტოქეს შეხვდა, რამდენჯერ მოიგო ან წააგო შინ და რამდენჯერ — სტუმრად. საშუალოდ რამდენ ქულას აგროვებს გუნდი და რამდენჯერ აძლევს მოწინააღმდეგეს ბურთის ჩაგდების საშუალებას. საგარინისეული რანგთა ტაბელი ითვლება ყველაზე მეცნიერულ და ყველაზე ობიექტურ კლასიფიკაციად.

ჩემპიონატი ძალზე დაძაბულად და სწრაფად მიმდინარეობს. სამ კვირაში 64 გუნდიდან რჩება „დიდი ოთხეული". სწორედ ამ ოთხეულში არის ნკაა-ს ახალი ჩემპიონი, დიახ, ახალი ჩემპიონი. რადგან აგერ უკვე 13 წელია არ ყოფილა შემთხვევა, რომ ერთიდაიგივე გუნდს ზედიზედ ორჯერ მოეპოვებინოს ეს ტიტული.

აღსანიშნავია, რომ ჩემპიონატის წინა ეტაპებზე არც ერთი გუნდი არავითარ თანხას არ ღებულობს, მხოლოდ ბოლოს, როცა ოთხი გუნდი რჩება, მაშინ რომელიმე ტელეკომპანია აძლევს თანხას ოთხივე უნივერსიტეტს. კერძოდ, შარშანდელ სეზონში ტელეკომპანია სი-ბი-ეს-მა „დიდ ოთხეულს" ინდიანის, სირაკუზის, ნევადისა და პროვიდენსის უნივერსიტეტებს თითოეულს მილიონი დოლარი გადაუხადა. ეს ფული ირიცხება უნივერსიტეტის სპორტული კათედრის ფონდებში, რომლებიც თავის მხრივ იყენებენ ამ თანხას სამოყვარულო სპორტის გასავითარებლად.

ჩემპიონატში მონაწილეობენ 18-დან 23 წლამდე ასაკის სტუდენტები, თუმცა არის იშვიათი გამონაკლისიც. 4 წელზე მეტს ხანს თამაშის უფლება მათ არა აქვთ, ვადაზე ადრე გადასვლა პროფესიონალებში კი ნებადართულია. სტუდენტური გუნდები წელიწადში 7 თვეს არ გადიან გუნდურ წვრთნას, ამ 7 თვის მანძილზე მოთამაშეს შეუძლია ივარჯიშოს დარბაზში მარტო ან მწვრთნელთან ერთად, ასე რომ შესვენების შემდეგ, კალათბურთელი სრულ სპორტულ ფორმაში ერთვება გუნდურ ვარჯიშებში, ისინი არავითარი შეღავათებით არ სარგებლობენ გამოცდებზე.

ალბათ, არ არის ისეთი სპორტის სახეობა, სადაც ისე ხშირად იცვლებოდეს წესები, როგორც კალათბურთში, მით უფრო აშშ-ის სტუდენტური კალათბურთი, თითქმის ყოველი სეზონის დასასრულს იმართება სპეციალისტთა თათბირი.

ნკაა-ს წესების დამდგენი კომიტეტის თავმჯდომარემ ედვარდ სტეიტცმა იხუმრა კიდეც: „ჩვენ წესებით ვამაგარებთ როგორც ფიბა-ს, ისე ნბა-სო" ასე მაგალითად, 1986 წელს დამტკიცდა ყველასათვის ერთიანი—შეტევისთვის განკუთვნილი 25 წამი.

რაც შეეხება 3-ქულიანი ზონის დადგენას, მას აზრთა სხვადასხვაობა მოჰყვა. ბოლოს 1986 წლის აპრილში წესების კომიტეტმა, მიუხედავად იმისა, რომ I დივიზიონის 100 მწვრთნელიდან ორი მესამედი წინააღმდეგი იყო, მაინც მიიღო 3-ქულიანი ზონის არსებობის წესი და დაადგინა ყველასათვის ერთიანი მანძილი 6 მეტრი და 2 სმ. შესაბამისად ამაღლდა შედეგიანობაც. თუ 1985 წლის ტურნირის 63 მატჩში მხოლოდ ერთმა გუნდმა მიაღწია 90 ქულას, შარშან 60 მატჩში უკვე 23 გუნდმა აჩვენა ასეთი შედეგი, ხოლო შვიდმა გუნდმა 100 ქულა და უფრო მეტი დააგროვა. თუმცა, პურდიუს უნივერსიტეტის მწვრთნელმა ჯინ კიდიმ განაცხადა: „3 ქულიანი სროლები ართობს მაყურებელს, ხოლო მწვრთნელებისათვის არავითარ სარგებელს არ წარმოადგენსო".

რადგან სიტყვა მწვრთნელებზე ჩამოვარდა, უნდა აღინიშნოს, რომ საუნივერსიტეტო კალათბურთის მწვრთნელები კვალიფიკაციით არაფრით არ ჩამოუვარდებიან, თუ არ აღემატებიან კიდეც ნბა-ს ლიგის მწვრთნელებს.

საკმარისია დავასახელოთ რამდენიმე მწვრთნელი და ნათელი გახდება, თუ რა სკოლას გადიან სტუდენტი კალათბურთელები.

ბობი ნაიტი — ნკაა-ს ახლანდელი ჩემპიონის ინდიანას გუნდის მწვრთნელი — ცნობილია, როგორც ერთ-ერთი უმაღლესი კლასის სპეციალისტი და ყველაზე ექსტრავაგანტული მწვრთნელი. მისმა გუნდმა 1975 წელს მოიგო პანამერიკული თამაშები, ნკაა-ს ჩემპიონის ტიტული 1976, 1981 და 1987 წლებში და ლოს-ანჯელესის ოლიმპიადა 1984 წელს. მას ყველა დროის საუკეთესო მწვრთნელსაც კი უწოდებენ.

დინ სმიტი — შესანიშნავი პედაგოგი. ავარჯიშებს ჩრდილოეთ კაროლინის გუნდს. მასზე ამბობენ, თუ სმიტის გუნდში ხარ, ნბა-ში თამაში გარანტირებული გაქვსო. პროფესიონალებში ახლა მისი 10-ზე მეტი აღზრდილი თამაშობს. მათგან გამოირჩევა მაიკლ ჯორდანი.

სმიტის გუნდი დიდ ყურადღებას აქცევს დაცვას, თუმცა იგი ნოვატორია შეტევაზე მოთამაშეთა განლაგებაშიც, ცნობილია მისი ოთხი კუთხე, როცა მოთამაშეები ბურთის სწრაფი გადაცემებით აბნევენ მცველებს.

ჯონ ტომპსონი — ჯორჯთაუნის უნივერსიტეტის გუნდის მწვრთნელი. თამაშობდა ბოსტონის „სელტიქსში", სადაც სახელგანთქმულ ბილ რასელს ცვლიდა. ახლა იგი ძალზე პოპულარულია, რადგან ოლიმპიურ გუნდსაც ავარჯიშებს. ჯონ ტომპსონი აშშ-ის ოლიმპიური ნაკრების პირველი ზანგი მწვრთნელია. როგორც ნაიტისა და სმიტის, ისე ტომპსონის გუნდის თამაშში დაცვითი ხასიათისაა, ცნობილია მისი გუნდის პრესინგი.

სხვათა შორის, საბჭოთა ნაკრები გუნდის ტურნეს აშშ-ში და პროფესიულ კლუბთან ერთობლივ ვარჯიშებს ძალიან ეწინააღმდეგებოდა ჯონ ტომპსონი. ეს გასაგებიცაა, რადგან თავის მთავარ მეტოქედ სეულში მას სწორედ საბჭოთა გუნდი მიაჩნია. რაც შეეხება ოლიმპიური ნაკრების კანდიდატებს, ჯონ ტომპსონმა თავის ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა, რომ ჯერჯერობით შეუძლია დაასახელოს მხოლოდ კანზასის უნივერსიტეტის გუნდის თავდამსხმელი 210 სმ სიმაღლის დენი მენინგი, თუ რა თქმა უნდა მანამდე იგი პროფესიონალებში არ გადავიდა.

როგორც ცნობილია, ნკაა-ს ყოველი ჩემპიონატის დასასრულს ნბა-ს პროფესიული კლუბები კონტრაქტებს სთავაზობენ ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშეებს. და ამით ნბა-ში ახალი შევსება მოდის. სწორედ ამიტომ აქცევენ აშშ-ში საუნივერსიტეტო კალათბურთს დიდ ყურადღებას. მას ხომ კალათბურთის ეროვნული ასოციაციის ციტადელს უწოდებენ.

**დავით იოვაშვილი.**

# ლიდერობენ სტუმრები

**თბილისის** კინოთეატრ „რუსთაველში" მიმდინარეობს საქართველოს 1988 წლის ქალთა ღია ჩემპიონატი 100-უჯრედიან შაშში. ტურნირმა მეტად ძლიერ შემადგენლობას მოუყარა თავი. აქ თამაშობენ მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი, დიდოსტატი, ოლგა ლევინა (ხარკოვი), სსრ კავშირის ჩემპიონი ტატიანა ტეტერინა (ნიჟნი ტაგილი), მოსკოვის ჩემპიონი ელენა ჩიტაიკინა, ლენინგრადის ჩემპიონი ოლგა გორელიკი, ლატვიის ჩემპიონი ვივა დუმეში და ექსჩემპიონი ელა ზილბერმანი (ორივე — რიგა), საქართველოს ჩემპიონი ნინო ფაილოძე და ექსჩემპიონი მაია მოსიძე. მათთან ერთად გამოდიან ოსტატობის კანდიდატები თამარ გრიგოლია, ლალი ჩომახიძე, მადონა შალამბერიძე, ელენე ტატიშვილი, ნატო აგლაძე, დიანა ავადია (ყველა — თბილისი), ლია ღირდალაძე (სამტრედია) და ნატო ურუშაძე (მახარაძე).

3 ტურის შემდეგ ასპარეზობას 3-3 ქულით ლიდერობენ ლევინა და ტეტერინა. მათ ნახევარი ქულით ჩამორჩებიან დუმეში და ფაილოძე. ორ-ორი ქულა აქვთ ჩიტაიკინასა და აგლაძეს.

**ვაჟა ნიჩუა,**
ჩემპიონატის მთავარი მსაჯი.

## „სპორტლოტო"

**მოსკოვში** ჩატარდა „სპორტლოტოს" მორიგი მე-11 ტირაჟები.

**„სპორტლოტო 6 45"-დან:** 1, 5, 9, 10, 18, 27.

**„სპორტლოტო 5 36"-დან:** 8, 11, 18, 19, 29.

• • •

**სპორტული** ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა „სპორტლოტოს" მეათე ტირაჟების შედეგები.

**„სპორტლოტო 6 45"-დან:** ტირაჟში დაშვებულია 1.864.521 ვარიანტი. 6 ნომერი არავის გამოუცვნია. ხუთი ნომრის გამომცნობისთვის (42) მოგება 1.813 მანეთია, 4 ნომრის გამოცნობისთვის (2.414) — 34 მანეთი, 3 ნომრის გამოცნობისთვის (30.363) — 4 მანეთი.

**„სპორტლოტო 5 36"-დან.** ტირაჟში დაშვებულია 19.013.532 ვარიანტი. 5 ნომრის გამოცნობისთვის (23) მოგება 10.000 მანეთია, 4 ნომრის გამოცნობისთვის (6.828) — 125 მანეთი, 3 ნომრის გამოცნობისთვის (252.404) — 7 მანეთი.

მეათე ტირაჟის მოგებების გაცემა 1988 წლის 21 მარტიდან 21 აპრილამდე.

# თასი „რეალმა" მოიგო

ევროპის კალათბურთელთა ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ საკლუბო პრიზს — კორაჩის თასს მადრიდის „რეალი" დაეუფლა. ფინალში ესპანელების მეტოქე გახლდათ არანაკლებად ცნობილი ბელგრადის „ციბონა", რომელსაც თავისი საუკეთესო სნაიპერის დრაჟენ პეტროვიჩის ხელმძღვანელობით ბევრი მნიშვნელოვანი შეჯიბრება მოუგია.

ამ გუნდების პირველი შეხვედრა გაიმართა ერთი კვირის წინათ მადრიდში და „რეალის" გამარჯვებით დამთავრდა — 102:89. იუგოსლაველები, ცხადია, დიდ იმედებს ამყარებდნენ განმეორებით მატჩზე, ვინაიდან 13-ქულიანი „დეფიციტის" გაბათილება, მათი აზრით, ძნელი არ უნდა ყოფილიყო.

მაგრამ ბელგრადის მატჩმა ეს ვარაუდი მთლიანად უკუაგდო. „ციბონამ" მართალია გაიმარჯვა, მაგრამ მხოლოდ ქულით — 94:93 (44:37), რაც საბოლოო წარმატებისთვის საკმარისი არ იყო.

მატჩის საუკეთესო კალათბურთელი ამჯერადაც დრაჟენ პეტროვიჩი გახლდათ, რომელმაც თავის გუნდს 47 ქულა შესძინა. პეტროვიჩის სნაიპერულ სროლებს ესპანელებმა კოლექტიური თამაში დაუპირისპირეს და ამან გარკვეული ნაყოფიც გამოიღო. ესპანელებმა შესძლეს პირველი ტაიმის სხვაობის ლიკვიდაცია, მერე გაათანაბრეს თამაში, მატჩის მიწურულს კი დაწინაურდნენ კიდეც 93:91. მაგრამ იმავე პეტროვიჩმა ბოლო სამქულიანი ტყორცნით წინ გაიყვანა თავისი კლუბი, ეს იყო მხოლოდ პრესტიჟული გამარჯვება, თორემ თასი „რეალს" დარჩა. გამარჯვებულთა შორის ყველაზე შედეგიანი კალათბურთელი ამერიკელი უენდელ ალექსისი იყო, რომელმაც თავის კოლექტივს 22 ქულა შესძინა.

რედაქტორი
**თ. გაჩეჩილაძე.**

**ჩვენი მისამართი:**
წერილებისთვის — 380096
თბილისი, ლენინის ქ. 14.
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო",

**რედაქციის ტელეფონები:**
წერილების განყოფილება — 93-97-55,
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
„მერანი" — 93-97-26, „მართვე" — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 05243